საქართველოს მთავრობის

დადგენილება №57

2014 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

„საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემების მოძრაობის გამყოფი სქემების, საზღვაო დერეფნებისა და სპეციალური საზღვაო რაიონების დადგენის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ სააქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემების მოძრაობის გამყოფი სქემების, საზღვაო დერეფნებისა და სპეციალური საზღვაო რაიონების დადგენის შესახებ“ დებულება.

მუხლი 2

დადგენილება ასევე გამოქვეყნდეს „ზღვაოსანთა უწყებებში“, ლოციებსა და სხვა სახელმძღვანელოებში, რომლებიც გამოიყენება ნაოსნობისთვის.

მუხლი 3

ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს ძალადაკარგულად გამოაცხადოს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 ივნისის №380 ბრძანებულება „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემების მოძრაობის გამყოფი სქემების, საზღვაო დერეფნებისა და სპეციალური საზღვაო რაიონების დადგენის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**